“სპარტაკი” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი)

გუშინ მოსკოვის “დინამოს” სტადიონზე მრავალრიცხოვანი მაყურებელი დაესწრო მატჩს დედაქალაქის “სპარტაკისა” და თბილისის “დინამოს” შორის.

პირველ ტაიმში თბილისელი დინამოელები რამდენადმე უწევდნენ წინააღმდეგობას მეტოქეს. თუმცა თავდასხმა უკიდურესად პასიურად თამაშობდა, დაცვამ 44 წუთის მანძილზე შეძლო მოსკოველთა იერიშების მოგერიება. მხოლოდ 45–ე წუთზე გაიტანა ტატუშინმა ბურთი.

მეორე ტაიმი, განსაკუთრებით მისი პირველი ნახევარი თბილისის “დინამოს” უაღრესად დაბალი კლასის დემონსტრაცია იყო. სპარტაკელები მოედანზე ყოველგვარი კონტროლისა და დაბრკოლების გარეშე მბრძანებლობდნენ. 11 დინამოელი დაბნეული, აბსოლუტურად დემორალიზებული უცქერდა თუ როგორ გაჰქონდათ სალნიკოვს, კეგიანს, პარშინსა და ტატუშინს ბურთები მათ კარში.

იგებდნენ რა მატჩს, ანგარიშით 5:0, სპარტაკელებმა თამაშის დასასრულს შეანელეს იერიშები და მხოლოდ ამან იხსნა თბილისის “დინამო’ კიდევ უფრო დიდი ანგარიშით დამარცხებისაგან.

ამგვარად, თბილისის დინამოელებმა პასივში კიდევ ერთი დამარცხება ჩაიწერეს დიდი ანგარიშით 0:5.

“ლელო”, 15 ივნისი, 1955 წ.